საქართველო

სანოტარო აქტი

დღეს, ორიათას ოცდაერთი წლის პირველ სექტემბერს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ეკატერინე ძულიაშვილს სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვ, კორპ. 7, ბინა 1ა-ში, მომმართა მოქალაქე დავით ზაუტაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „რენტა“-ს დირექტორი და ითხოვა მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად დავით ზაუტაშვილმა /დაბ. 31.03.1978 წელს, მის. თბილისი, გ. ჭუჩიშვილის ქ. № 12-14-16, ბინა 16, პ№ 01025000185/, მომმართა.

შევამოწმე დავით ზაუტაშვილის უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის შპს „რენტა“-ს დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21059865, ამონაწერის მომზადების თარიღი: 15.06.2021, საიდენტიფიკაციო ნომერი: 402187147.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

შპს „რენტა“ საიდენტიფიკაციო ნომერი: 402187147 (შემდგომში „მიმნდობი პირი“) წარმოდგენილი დირექტორის დავით ზაუტაშვილის /დაბ. 31.03.1978 წელს, მის. თბილისი, გ. ჭუჩიშვილის ქ. № 12-14-16, ბინა 16, პ№ 01025000185/ მიერ ვასილ ცომაიას /დაბ. 28.09.1985 წელს, პ№ 01025015668/ (შემდგომში „მინდობილ პირი“) ანიჭებს უფლებამოსილებას

მინდობილი პირი იყოს შპს „რენტა“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402187147) წარმომადგენელი სს თელასში, შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში, ასევე ნებისმიერ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში (მერია, გამგეობა, მუნიციპალიტეტი) და მათ სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ვასილ ცომაიამ კომპანიის სახელით წარადგინოს, გამოითხოვოს, მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, ცნობა, ინფორმაცია, განცხადება, ნებართვა, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს. კომპანიის სახელით აწარმოოს პროექტირებასთან, მშენებლობის ნებართვის მიღებასთან - გადავადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა, წარადგინოს და შეათანხმოს პროექტი, შეიტანოს ცვლილება არსებულ პროექტებში, მიიღოს ნებართვა, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს, მათ შორის განახორციელოს კომპანიის სახელით ელექტრონულად ხელმოწერა შესაბამის განცხადებაზე და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც საჭირო გახდება შპს „რენტა“-ს ინტერესების დასაცავად და საქმის საწარმოებლად.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი მიეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის:

1. შპს „რენტა“-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B21059865, ამონაწერის მომზადების თარიღი: 15.06.2021;

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 10.00 ლარი თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 31 მუხლისა + დღგ 1.80 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 39 მუხლისა, სულ გადახდილია 13.80 ლარი.

მიმნდობი: _____

ნოტარიუსი: _____ /ეკატერინე ძულიაშვილი/

საქართველო * ნოტარიუსი ეკატერინე ძულიაშვილი * GEORGIA * NOTARIUS EKATERINE DZULIASHVILI * 01001003353 * ГРУЗИЯ * НОТАРИУС ЕКАТЕРИНЕ ДЗУЛИАШВИЛИ